<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2021 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოფილე ჩოჩუას ქუჩისთვის საქართველოს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე ანდრონიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, თეოფილე ჩოჩუას ქუჩას მიენიჭოს საქართველოს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე ანდრონიკაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

კონსტანტინე ანდრონიკაშვილის ქ.
01.01.834
01.01.744
01.00.038
01.00.393
01.17.09.026.072
01.17.09.027.002
01.17.09.027.010
01.17.09.027.007
01.17.09.032.001
01.17.09.032.011
01.17.09.032.007
01.17.09.032.056
01.17.09.032.018
01.17.09.032.071
01.17.09.032.067
01.17.09.032.066
01.17.09.032.002
01.17.09.032.013
01.17.09.032.020
01.17.09.033.030
01.17.09.032.039
01.17.09.030.006
01.17.09.030.004
01.17.09.026.051
01.17.09.026.034
01.17.09.026.003
01.17.09.026.017
01.17.09.026.055
01.17.09.026.064
01.17.09.026.011
01.17.09.026.063
01.17.09.026.012
01.17.09.026.014
01.17.09.026.074
01.17.09.026.059
01.17.10.002
ირაკლი ტატიშვილის ქუჩა
თეიმურაზ ჩიჩუას ქუჩა
ალექსანდრე ჯანელიძის ქუჩა
ალექსანდრე ორბელიანის ქუჩა
ბესიკი ბოლქვაძის ქუჩა
დიმიტრი თავდადების ქუჩა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **ბ/6469452**
თარიღი: **27/01/2021**
პინი: **####**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი დედაქალაქის რიგი გეოგრაფიული ობიექტებისთვის კინორეჟისორ გიორგი შენგელაიას, საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე ანდრონიკაშვილის, იუნკერების-პლატონ დოლიძის და ალექსანდრე ახვლედიანის, ასევე ავჭალის რკინიგზის სადგურისთვის სამხედრო მოღვაწე ვლადიმერ გოგუაძის სახელების მინიჭებასთან დაკავშირებით.
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობა და მათ მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორიები და მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ სიტუაციური ნახაზები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 5 (ხუთი) გვერდი.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

კონსტანტინე ანდრონიკაშვილი

(1876 - ?)

საქართველოს ეროვნული საბჭოს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტისა და საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი

დაიბადა 1876 წელს სოფელ კაჭრეთში, თავადის ოჯახში, საშუალო განათლება მიიღო თბილისში, 1897 წელს დაამთავრა ტფილისის მე-3 გიმნაზია.

სწავლა გააგრძელა რუსეთში - ჯერ მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა, ხოლო მესამე კურსიდან - კიევის უნივერსიტეტში, თუმცა კიევის უნივერსიტეტის სტუდენტურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო იმავე წელს გარიცხეს სასწავლებლიდან და დააპატიმრეს კიდეც. კიევის ციხეში მან დაახლოებით ხუთ თვეს დაყო. შემდგომ, ჟანდარმერიის უფროსმა - ვასილი ნოვიცკიმ წინადადება მისცა 24 საათის ვადაში დაეტოვებინა კიევი და გამოამგზავრა მშობლიურ სოფელში.

1903 წლიდან იმყოფებოდა პოლიციის ღია ზედამხედველობის ქვეშ.

სოფელში დაბრუნების შემდეგ კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა პედაგოგიურ საქმიანობას მიყო ხელი - ამზადებდა ბავშვებს საშუალო სასწავლებლისათვის, თანამშრომლობდა პრესასთანაც. იყენებდა ფსევდონიმებს „კ. კახელი“, „კ. ანდ-შვილი“ და „კონსტ. ანდრონი“.

დროდადრო არალეგალურად ჩადიოდა თბილისში, სადაც დაუკავშირდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ტფილისის კომიტეტს. ანდრონიკაშვილი განსაკუთრებით დაუახლოვდა ქართველი სოციალ-დემოკრატების ბეჭდვითი ორგანოს, ჟურნალ „კვალის“ რედაქტორს ირაკლი (კაკი) წერეთელს, მასთან ერთად მუშაობდა რედაქციაში. 1904 წელს დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში არ ჩასვეს.

გაათავისუფლეს ამავე წლის 20 თებერვალს და განსაკუთრებული ზედამხედველობა დაუწესეს.

ხუთი თვის შემდეგ კვლავ გაასახლეს კაჭრეთში, სადაც გლეხებს შორის განაგრძო მუშაობა და ორგანიზაციების ჩამოყალიბება. 1906 წელს დაბრუნდა თბილისში. მუშაობდა ლეგალურ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში „ელვასა“ და „სხივში“, რომლებიც გამოდიოდა ნოე ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძის რედაქტორობით; თანამშრომლობდა ჟურნალ „მოგზაურში“. წერდა სტატიებს ეკონომიკურ საკითხებზე. იყენებდა პარტიულ ფსევდონიმებს „კახელი“ და „არჩილი“. „ოხრანკის“ თვალთვალის ჟურნალებში გატარებულია მეტსახელით - „Рыжий интеллигент“.

მონაწილეობდა რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების კამპანიაში. 1911 წელს მიესაჯა სამუდამო გადასახლება ციმბირში, ექვსი თვის შემდეგ გადასახლებიდან გაიქცა, იმალებოდა მოსკოვში, სადაც სტუდენტის ყალბი მოწმობით კვლავ დაბრუნდა იურიდიულ ფაკულტეტზე, ცხრა თვის შემდეგ იძულებული გახდა, წასულიყო საზღვარგარეთ.

თავდაპირველად ცხოვრობდა ჟენევაში, შემდგომ ერთი წელი იცხოვრა პარიზში, სადაც დაამთავრა ელექტროტექნიკური კურსები და კვლავ დაბრუნდა შვეიცარიაში. საზღვარგარეთიდან თანამშრომლობდა სოციალ-დემოკრატიულ გამოცემებთან, იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის („მენშევიკების“) საზღვარგარეთის ბიუროს მდივანი. 1917 წლის რევოლუციამდე ცხოვრობდა ლოზანაში. რევოლუციის შემდეგ რუსეთში დაბრუნდა ინგლისის გავლით. დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა თელავში; იყო შინაგან საქმეთა მინისტრის რწმუნებული და თელავის ქალაქისთავი.

1917 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად.

1918 წლის თებერვლიდან იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი.

1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტზე.

1918 წელს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი.

1919 წლის 12 მარტიდან არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით. იყო სამხედრო კომისიის თავმჯდომარე და საკონსტიტუციო კომისიის წევრი.

1921 წლის თებერვალში, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე საბჭოთა რუსეთის თავდასხმისას დაინიშნა მთავრობის საგანგებო რწმუნებულად თელავის მაზრაში.

ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში და აგრძელებდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში დააპატიმრეს 1921 წლის 4 ნოემბერს, თბილისში,

საკუთარ სახლში, გაათავისუფლეს 1921 წლის ბოლოს ცეკავშირის შუამდგომლობის შედეგად.

საქართველოს ოკუპაციის წლისთავისათვის დაგეგმილი საპროტესტო მანიფესტაციების თავიდან არიდების მიზნით, 1922 წლის 10 თებერვლის ღამით ხელმეორედ დააპატიმრეს პარტიების სხვა ლიდერებთან ერთად. ავადმყოფობის გამო პირობით გაათავისუფლეს 1922 წლის აგვისტოში.

1923 წლის მარტში (დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის ნიკოლოზ ქარცივაძის დაპატიმრების შემდეგ) გახდა დამკომის თავმჯდომარე. იყენებდა პარტიულ ფსევდონიმს „ვახტანგი“.

1924 წლის დასაწყისიდან ხელმძღვანელობდა საყოველთაო აჯანყების სამზადისს. 1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა აჯანყებისას დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებთან და აჯანყებულთა მთავარსარდალთან ერთად გადავიდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანაკში, თბილისის მახლობლად.

1924 წლის 4 სექტემბერს კოტე ანდრონიკაშვილი და იასონ ჯავახიშვილი ბოლშევიკების ცხენოსანმა პატრულმა მცირე შეტაკების შემდეგ დააპატიმრა შიომღვიმის მონასტრის ახლოს. სასამართლომ კოტე ანდრონიკაშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიუსაჯა, თუმცა ამნისტიის გამო იგი 10 წლით მკაცრი იზოლაციის პატიმრობით შეუცვალა. კოტე ანდრონიკაშვილის შემდგომი ბედი გაურკვეველია. დაპატიმრებულთა უმრავლესობა, მათ შორის დამფუძნებელი კრების დეპუტატები, 1937-38 წლების დიდი ტერორის დროს დახვრიტეს ციმბირის სხვადასხვა მხარეში. სავარაუდოდ, კოტე ანდრონიკაშვილიც 1937-38 წლების საბჭოთა დიდ ტერორს ემსხვერპლა. მასზე არაფერი იძებნება რუსულენოვან „ხსოვნის წიგნებში“.